საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	10	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	71	100

სახელი, გვარი: ს. ქინინაძე

თარიღი : 08.07.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბადრი შონია

„08" ივლისი 2021 წელი ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატ თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კერძოდ „კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1-ე მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1-ე მუხლის მე-16 პუნქტით/36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3-ე მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს".

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ თამარ ალფაიძის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მასზე მოძიებული ინფორმაციიით, მის მიერ წარმოდგენილი განცხადებით და თანდართული დოკუმენტებით, აგრეთვე დავეყრდენი კანდიდატთან გამართულ უშუალო (მოკლე) გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და ანალიზს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სამოსამართლო გამოცდილების არმქონეა, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის შესაბამისად ფასდება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1-ე მუხლის შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
- პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ფინანსური ვალდებულება;

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მას კეთილსინდისიერ, პასუხისმგებლიან, მაღალი პროფესიული სინდისის მქონე პიროვნებად ახასიათებენ. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თამარ ალფაიძეს არ აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. მოძიებული მასალით ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემდეგი ფაქტები: **ასკ** მუხლი 125, ნაწ. 1 („სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მაგრამ არაუმეტეს 40 კმ/სთ-ისა";) 5 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად; ასკ მუხლი 118, ნაწ. 2 („იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა პირისათვის სამართავად გადაცემა/საექსპლუატაციოდ გადაცემა/საექსპლუატაციოდ დაშვება, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება"); 7 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად; ასკ მუხლი 125, ნაწ. 6; („სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან საგზაო მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა, ან მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას"); 3 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად; ასკ მუხლი 125², ნაწ.6; („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი, სატრანსპორტო საშუალების პარკირების სხვა წესის დარღვევა"); 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად; ასკ მუხლი 125, ნაწ.7 („ მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული („დაუთმე გზა", „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია") ან ამკრძალავი („შესვლა აკრძალულია", „მოძრაობა აკრძალულია") ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა"); 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად; ასკ მუხლი 125, ნაწ.8 („ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია" და „დგომა აკრძალულია" მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა"); 4 შემთხვევა; ჯარიმები გადახდილია დროულად; ასკ მუხლი 125², ნაწ.1 („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების ადგილზე სატრანსპორტო საშუალების პარკირებისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი პარკირების საფასურის გადახდის გარეშე სატრანსპორტო საშუალების დგომა"); 1

შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად; ასკ მუხლი 1182, („ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა“); 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად;

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ დისციპლინური გადაცდომისთვის თ.ალფაიძეს ამავე უნივერსიტეტის რექტორმა სახდელის სახით და ზომად განუსაზღვრა შემდეგი სახის სახდელები: 1. 2018 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით შენიშვნა - საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო; 2. 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო (მეორე შემთხვევა) - ერთი სალექციო მეცადინეობის ანაზღაურების ექვივალენტური ხელფასის დაკავება; 3. 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით - შენიშვნა მარტი-აპრილის თვეებში ლექციებზე/მეცადინეობებზე დაგვიანებების გამო; 4. 2019 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით - გაფრთხილება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა დასკვნითი გამოცდის შეფასების შეცვლის გამო.

წარმოდგენილი ინფორმაციები მაძლევს საფუძველს, რომ კანდიდატი თ.ალფაიძე ამ კომპონენტში შევაფასო უარყოფითად.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:
კანდიდატმა თ.ალფაიძემ გასაუბრების პროცესი თავად შეწყვიტა დროზე ადრე, ამიტომ მიჭირს სრულფასოვნად შევაფასო, კანდიდატი არის თუ არა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია თუ არა ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან/და შემომწირველი, თუმცა 2019 წლეს იგი იყო მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი.
კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით იგი გამოირჩევა პრინციპულობით, შეუვალობით, სიმტკიცით და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით.

ამდენად, ამ მოცემულობიდან გამომდინარე მაქვს საფუძველი ამ კომპონენტში მეტ-ნაკლებად დადებითად შევაფასო კანდიდატი თ.ალფაიძე.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:
გასაუბრების პროცესში კანდიდატი იყო ზრდილობიანი და კორექტული. აღსანიშნავია რომ კანდიდატს ეტყობოდა აღელვება ნერვიულობის ფონზე, რის თაობაზეც თავადაც განაცხადა და ამ მოტივით ვადაზე ადრე მოისურვა გასაუბრების პროცესის დასრულება, თუმცა რეკომენდატორების მოსაზრებით კანდიდატი მშვიდი, გაწონასწორებული და აუღელვებელი პიროვნებაა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოძიებული ინფორმაციით, კანდიდატი იყო მოპასუხე სამოქალაქო საქმეში: დავის საგანს წარმოადგენდა თანხის გადახდის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაშიც მაქვს საფუძველი კეთილსინდისიერების ამ კომპონენტში მეტ-ნაკლებად დადებითად შევაფასო კანდიდატი თ.ალფაიძე.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატი სარგებლობს დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში ისე იურიდიულ წრეებში. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები თამარ ალფაიძეს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად ახასიათებენ. რეკომენდატორებს და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.

თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს კანდიდატობის შესახებ, თუმცა არცერთი ფაქტი არ იძლიევა მის პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციაში ეჭვის შეტანის საფუძველს. ამდენად, მაქვს საფუძველი, რომ კეთილსინდისიერების ამ კომპონენტში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

5. ფინანსური ვალდებულება:

კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შესაბამისად, მაქვს საფუძველი, რომ კეთილსინდისიერების ამ კომპონენტში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- სამართლის ნორმების ცოდნა;
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- პროფესიული თვისებები;
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- პროფესიული აქტივობა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

კანდიდატმა გასაუბრების პროცესში, რომელიც თავად შეწყვიტა დროზე ადრე, ვერ გამოავლინა სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას სამართლებრივი ნორმების სრულყოფილი ცოდნის დონე, შესაძლებელია ეს აიხსნას მისი მხრიდან მომეტებული ძლიერი ემოციური ფონით, რაზეც მითითებით ვადაზე ადრე დასრულდა გასაუბრების პროცესი. სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის მსჯელობისას დაფიქსირდა უზუსტობები, კერძოდ, კანდიდატს გაუჭირდა საუბარი თუ როდის დაედო საფუძველი ევროპაში კონსტიტუციურ კონტროლის მექანიზმს, თუმცა აღნიშნა რომ საქართველოში ეს 1917 წელს დამკვიდრდა. კანდიდატმა აღნიშნა, რომ იცნობს კელზენის თეორიას, თუმცა დაწვრილებით ვერ ისაუბრა რას გულისხმობს ის. ასევე ვერ ისაუბრა კანონის უკუქცევით ძალაზე, რომელიც განმარტებული აქვს საკუთარ წიგნში. მან არ ისურვა თავისი ნაშრომის - წიგნის ირგვლივ კითხვების დასმა. მან ვერ განმარტა სამართლის ნორმის სახეები. კანდიდატი არ იცნობს სისხლის საპროცესო სამართალში ანალოგიის გამოყენების საკითხს. კანდიდატმა არ იცის რა კატეგორიის საქმეებს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. მან ვერ ისაუბრა სისხლის სამართალში აცდენილი ისრის თეორიაზე, ასევე წმინდა და შერეული უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - თამარ ალფაიძე შევაფასო - 15 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა არ იყო დამაჯერებელი და დამაკმაყოფილებელი. როგორც ზემოთ აღვნიშნე გასაუბრებისას კანდიდატი იყო აღელვებული, რამაც ალბათ შეუშალა ხელი საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენაში.

კანდიდატს აქვს 20 წელზე მეტი პროფესიული გამოცდილება, უმეტეს წილად მისი საქმიაანობა მოიცავს სალექციო მიმართულებას. ამჟამად არის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი.

კანდიდატმა წარმოადგინა სამი სამართლებრივი პუბლიკაცია: „ჰუმანური სამართალი; სამართლის ჰუმანური პრინციპები"; „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება"; „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება". მათი გაცნობის შემდეგ დგინდება, რომ ავტორი მსჯელობას თანმიმდევრულად და გასაგებად ანვითარებს, მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხები ხაზგასმული აქვს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - თამარ ალფაიძე შევაფასო - 16 ქულით.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

გასაუბრებისას კანდიდატი საუბრობდა გამართულად, თუმცა საუბრისას ეტყობოდა აღელვება. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის კარგ უნარს.

წარმოდგენილი სამართლებრივი პუბლიკაციების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ წერისას კანდიდატი აზრს ნათლად, თანმიმდევრულად და გასაგებად გადმოსცემს. მათში მნიშვნელოვანი გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ იკვეთება.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - თამარ ალფაიძე შევაფასო - 17 ქულით.

4. პროფესიული თვისებები

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატი არის პასუხისმგებლიანი, შრომისმოყვარე, შეუძლია სტრესულ სიტუაციაში მუშაობა და არ ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, თუმცა მხოლოდ რესპოდენტების განმარტებები არ არის ჩემთვის საკმარისი, რომ კანდიდატი შევაფასო მაღალი ქულით.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - თამარ ალფაიძე შევაფასო - 10 ქულით.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა.

თამარ ალფაიძე არის სამართლის დოქტორი.
კანდიდატმა გაიარა შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ადამიანის საერთაშორისო უფლებები", The Universite Catholique de Louvain; International Human Rights - University de Catolique; Leaders of Learning - ჰარვარდის უნივერსიტეტი და სხვა.
იგი ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს.
შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - თამარ ალფაიძე შევაფასო - 8 ქულით.

6. პროფესიული აქტივობა

კანდიდატი 2016 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (პროფესორი). იგი არის შემდეგი სალექციო კურსების ავტორი: სამართალმცოდნეობის შესავალი; საკანონმდებლო ტექნიკა; მედია სამართალი და თვით რეგულირება; კონსტიტუციური სამართალი; ინფორმაციული უსაფრთხოება და კიბერ უსაფრთხოება;
იგი არის რამდენიმე სამართლებრივი წიგნის ავტორი/თანაავტორი: - „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები"; თსუ, 2006; - „მედია სამართალი", 2008; - „შესავალი სამართალმცოდნეობაში", 2009; - „სამართალმცოდნეობის შესავალი" (მეორე გამოცემა), 2015. კანდიდატის აკადემიური ნაშრომი იურიდიული მეცნიერების დარგში - "სამართალმცოდნეობის შესავალი" წარდგენილია საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად;

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - თამარ ალფაიძე შევაფასო - 5 ქულით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ თამარ ალფაიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 71 ქულა.

ხელმოწერა: